ცნობის ფურცელი

№ 2333 სამშაბათი, 25 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2333

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

მარიამ გრიგოლის ასული, სოლომონ, გრიგოლ, ალექსანდრე და იოსებ ზაქარიას ძენი ქურდოვანიძენი, თებრონია ზაქარიას ასული ქუმსიევისა, ელისაბედ ზაქარიას ასული კოწოწოვისა და ოლღა ზაქარიას ასული პეტრიაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაცვალებას პირველი—დაუვიწყარ და საყვარელ მეუღლისა, დანარჩენნი—მამის

მღვდელ ზაქარია ქურდოვანიძისას.

მიცვალებულს გამოასვენებენ სამშაბათს, 25 ნოემბერს, სოფ. საგარეჯოში, მიძინების ეკკლესიაში. (1—208—1)

წარ. 23,

ქართული თეატრი

სამშაბათს, 25 ნოემბერს, 1903 წელს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება **სვიმონიძის საბენეფისოდ**

ოტელო

ტრაგედია 5 მოქმ. შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბლისა.

ახალი ტანისამოსი მოსესიანცის სახელოსნოდან, დეკორაციები ნოვაკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. ჩხეიძე, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ხალხის მტერი“ ანუ „ექიმი შტოკმანი.“

რეჟისორი **აკაკი**

წარ. 24. აბონემენტი № 7. ტელეფონი № 617.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 27 ნოემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

◆ პირველად ქართულ სცენაზე ◆

ხალხის მტერი

ანუ

ექიმი შტოკმანი

დრამა 5 მოქმ. ჰ. იბსენისა, თარგმ. პოლუმორდვინოვის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: კ. მესხის საბენეფისოთ „რუსთაველი“.

რეჟისორი **აკაკი**

ქართული თეატრი

(ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი)

ანონსი

მოკლე ხანში დაიწყება გასტროლები (პირველად ტფილისში) სრულის დასით

ვენის ოპერეტისა

(შესანიშნავის ანსამბლით ვენის საიმპერატორო-სამეფო „კარლ-თეატრისა“)

დირექცია ფ. ნ. შულცისა და გენრ. ცელლერისა.

გაიმართება მხოლოდ 7 წარმოდგენა. დაწვრილებითი ცნობები ამ დღეებში იქნება გამოცხადებული ცალკე აფიშებში.

(2—211—1) დირექცია: **ვ. ნ. შულცი და გენრ. ცელლერი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 25 ნოემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით

ჰუგენოტები

ოპერა მეიერბერისა 4 მოქმედ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გალცინა, კარრი, კარტავინა, ლელინა, სკორუპსკაია; ბ-ნნი: ფიგნერი, დარსკი, ილიუშჩენკო, გლადკოვი, კლიუზნერი, სანგურსკი, ფეოდოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: ხვალ, 26 ნოემ. წარმ. იქმნება. „ბალ-მასკარადი“. ხუთშაბათს ბ. ფიგნერის მონაწილეობით „სოფლური პატიოსნება“ და „პაიაცები“. მზადდება წარმოსადგენად „კამორა“. მოკლე ხანში გაიმართება წარმოდგენა ნ. ნ. ფიგნერის საბენეფისოდ. (ნ.)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. - 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ლ. მ. მოჩინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. მ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 4—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვნაძისა. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

კბილის ექიმი

პ. გ. მახარაშვილი

გადავიდა ნადირაძის სახლში (ბაინდუროვისეულში) კოკოჩაშვილის აფთიაქის პირდაპირ.

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—13)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი **5—7** საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—ნ.—21)

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

იაპონიაში

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტო“-ს ატყობინებენ ლონდონიდან: 19 ნოემბერი. „დეილი მეილ“-ი იუწყება: იაპონელმა მოღვაწემ მარკიზ საიანჯიმ შორეულ-აღმოსავლეთის საქმის თაობაზე სთქვა, იაპონიის დეპუტატთა პალატის ეხლანდელ კრებას მეტად დიდი მნიშვნელობა ექმნება, რადგან ამ კრებას იაპონია-რუსეთის დავა აქვს გადასაწყვეტი. იაპონიის პოლიტიკური პარტიები დიდ პასუხის გებაში არიან. თუ რიგზე არ მოიქცნენ, შეიძლება, იაპონია დიდ განსაცდელში ჩააგდონო.

იმავე სააგენტოს ატყობინებენ ტოკიოდან: „18 ნოემბერი. დღეს საზღვაო მინისტრი ადმირალი იამამატო გარეშე საქმეთა მინისტრს ბარონ კომურას ეთათბირაო“.

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: „19 ნოემბერი. სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, იაპონიამ ორი სამხედრო გემი იყიდაო. ეს გემები ინგლისშია აშენებული.“

„ნოვი კრაი“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: ნოემბრის დამდეგს კობეს დასავლეთით, ხიმეზდის მიდამოებში იმპერატორის თანდასწრებით იაპონიის ქვევითა ჯარმა ალლუმი მოახდინა. ალლუმში 30 ათასი ჯარის კაცი იღებდა მონაწილეობას. იმპერატორმა ჯარის მოქმედება და თაოსნობა მოიწონა.

რას თხოულობენ იაპონელები?

იაპონური გაზ. „ხოცი“ სწერს, იაპონიამ ასეთი წინადადება მისცა რუსეთსაო:

1) მთელ მანჯურიაში უცხოელებს ცხოვრებისა, ვაჭრობისა და მრეწველობის უფლება უნდა მიეცეს.

2) იმ ადგილების საზღვრებს, სადაც უცხოელებს ვაჭრობის უფლება მიეცემათ, თითონ სახელმწიფოები და ჩინეთი დაჰნიშვნენ ერთმანერთის თანხმობით.

3) რუსეთს არაფერი შეღავათი და პრივილეგია არა უნდა ჰქონდეს მანჯურიაში.

4) რუსეთმა მანჯურიის რკინის გზის დამცველი რაზმი უნდა შეამციროს.

5) რუსეთი პატივისცემით უნდა მოექცეს იაპონიის უფლებას კორეიაში.

6) რუსეთი არა დროს არ უნდა ერეოდეს იაპონელებისაგან კორეიაში გაყვანილ რკინის გზების საქმეში.

7) რუსეთმა უნდა აღიაროს, რომ იაპონიას უფლება აქვს კორეიაში რკინის გზების და თავის ქვეშევრდომების დასაცველად ჯარი იყოლიოს.

8) რუსეთი ისე არ უნდა მოიქცეს კორეიაში, რომ იაპონიის ინტერესებს რაიმე ზარალი მიეცესო.

გაზეთი უმატებს: ხმა დადის, რუსეთი არა სთანხმდება ამ პირობასაო.

იაპონელები კორეიაში

იაპონელები მეტად მოხერხებულად იქცევიან კორეიაში. გაზ. „რევიუ რიუს“-ი („რუსული მიმოხილვა“) სწერს.

„ჩინეთთან ომის შემდეგ იაპონელებს კორეის სატახტო ქალაქ სეულში დიდის ჯარის ყოლა აუკრძალეს. ამ ქალაქში 300 ჯარისკაცის მეტს ვერ იყოლიებენ, მაგრამ იაპონელები ამ პირობას როდი ასრულებენ. იაპონელი ჯარის-კაცები სხვა ტანისამოსით მიდიან კორეიაში, თავიანთი სამხედრო ფორმა და იარაღი ზანდუკებით მიაქვთ, წინადვე შეგულებულ ადგილებში სახლდებიან და მუშაობას იწყებენ. ესენი ვითომ ბრინჯითა და ცერცვით ვაჭრობენ, ნამდვილად კი სამხედრო მასალის საწყობებს აშენებენ, ნავთ-სადგურებს ჰმართავენ და ამ ნავთ-სადგურებში დიდ-ძალ ნავს იჩენენ. სანამ ომი არ გამოცხადებულა, ამ საქმეს კერძო კაცები უძღვებიან, მაგრამ რამწამს საჭიროება მოითხოვს, ამ ნავთსადგურებსა, ნავებსა და საწყობებს თითონ იაპონიის მთავრობა დაეპატრონება და მფარველობას გაუწევს.

იაპონიის მთავრობა თხოულობს, რომ ყოველ იაპონელ ვაჭარს კორეის ნავთ-სადგურებში ამდენ-ამდენი ნავი ჰქონდესო და ომის დროს ეს ნავები იაპონიის ჯარს მოახმაროსო. ამას გარდა ვაჭრები მოვალენი არიან თავიანთ მაღაზიებში იარაღისა და სამხედრო მასალის საწყობები იქონიონ. ჩემულპოსა და სხვა ქალაქებში თითონ იაპონიის მთავრობასაც სხვა-და-სხვა საქონლისათვის დიდი საწყობები აქვს გამართული; ამ საწყობებში უეჭველია სამხედრო მასალაც ექნებათ შენახული. ევროპიელებს აკრძალული აქვთ ამ ადგილებში მისვლა. ჩინეთთან ომის დროს იაპონელებმა ჩემულპოში ყუთებით დიდ-ძალი ბრინჯი და სამხედრო მასალა ჩაფლეს მიწაში. იაპონელებს მეტად კარგი სამხედრო მზვერავები და ჯაშუშები ჰყავთ. ქალები თუ კაცები რუსებთან მოჯამაგირეებად დგებიან, ყველაფერს იგებენ და რასაც რამე პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ყველაფერს თავიანთ კონსულებს ატყობინებენ.

იონამპოს საქმე

იაპონიისა, ინგლისისა და ამერიკის ელჩები მოსვენებას არ აძლევენ კორეის გარეშე საქმეთა მინისტრს, იონამპოში ყველას მიეცეს ვაჭრობის უფლებაო. რუსეთის ელჩი პავლოვი კიდევ ემუქრება კორეის მთავრობას, იონამპოში რუსებს გარდა არამცა და არამც არავის მისცე ვაჭრობის უფლებაო. კორეის გარეშე საქმეთა მინისტრი მაინც დასთანხმდა იაპონიისა და სხვა სახელმწიფოების წინადადებას, მაგრამ კორეის იმპერატორი ვერ დაიყოლია თავის ნებაზე. ეხლა, როგორც ამ დღეებში დეპეშამ გვაცნობა, იმპერატორს იაპონიის ელჩი მიუღია აუდიენციაზე და დაჰპირებია, ამ ორიოდე დღეში იონამპო საერთაშორისო ვაჭრობისათვის გაიხსნებაო. ვნახოთ, გამართლდება ეს ცნობა, თუ არა.

ჩინეთი და იაპონია

ტიანძინიდან ამბავი მოვიდა, მეფის მოადგილე იუანშიკაიმ ყოველი თადარიგი დაიჭირა და საომრად დაემზადაო. თუ ვინიცობაა რუსეთსა და იაპონიას ომი მოუხდათ, ჩინეთიც მონაწილეობას მიიღებს ამ ომში. იუანშიკაი იაპონიის მომხრეა. ამას წინად დედოფალს საიდუმლო მოხსენება წარუდგინა და ბეჯითად ურჩია, იაპონიასთან კავშირი შეეკრათო. გუშინდელმა დეპეშამ გვაცნობა, ჩინეთის დედოფალმა იუანშიკაი ჩინეთის ჯარის და ფლოტის უფროსად დანიშნა და უმაღლესი ხარისხიც უბოძაო. ეტყობა, მეფის მოადგილის რჩევა და აზრები დედოფალსაც ჰკუაში მოსდის. მეორე გავლენიანი მეფის მოადგილე ჯალნჯიტუნაც მტკიცე მეგობარია იაპონიისა. ამბობენ, ჩინეთის წარჩინებულ მოხელეებს მომეტებულ ნაწილად იაპონიის მხარე უჭირავთო.

იაპონია, ინგლისი და ამერიკა

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტო“-ს ატყობინებენ ბერლინიდან: „19 ნოემბერი. ლო-

ნდონიდან კერძო ცნობები მოვიდა: გუშინ და გუშინ-წინ ინგლისის მინისტრების საბჭომ სხდომა მოახდინა და შორეულ-აღმოსავლეთის საქმესა და ნამეტნავად რუსეთ-იაპონიის ურთიერთობაზე მოილაპარაკა.

ამერიკული გაზ. „უორლდ“-ი იუწყება: შეერთებულ შტატების მთავრობამ ეხლავე პლანი შეადგინა და ის ნავთ-სადგურები დანიშნა, სადაც ამერიკის სამხედრო გემები უნდა დადგნენ, თუ ვინიცობაა რუსეთსა და იაპონიას ომი მოუხდათ. შორეულ-აღმოსავლეთის ზღვებში ამერიკას სულ 49 სამხედრო გემი უდგას, მაგრამ გემები მომეტებულ ნაწილად პატარა გემებია.

იგივე გაზეთი იუწყება, ამერიკის მთავრობა არავის არ დაარღვევინებს ჩინეთთან დადებულ ხელ-შეკრულობას. როგორც ვიცით, ამ ხელ-შეკრულობის ძალით, ამერიკას მანჯურიის ნავთ-სადგურებსა, მუკდენსა და ანდუნში ვაჭრობის უფლება ეძლევა. ვიცით ისიც, რომ რუსეთმა სწორედ ქალაქ მუკდენში ჩააყენა ჯარი.

ტიბეტის საქმე

„რეიტერის სააგენტო“-ს ატყობინებენ ტიანძინიდან: აქ ხმა გავრცელდა, ინგლისსა და ჩინეთს პირობა აქვთ შეკრული, თუ ვინიცობაა რუსეთმა ტიბეტის დაჭერა მოინდომა, ინგლისმა ტიბეტი უნდა დაიცვას. ამბობენ, რუსეთი მარტო მანჯურიის დაჭერას არ დასჯერდება, ჩინეთის თურქესტანსა და ტიბეტსაც უპირობს დაჭერასაო. ამიტომ ინგლისმა ეს პირობა შეჰკრა ჩინეთთან და ტიბეტში პოლკოვნიკ ენგჰეზბანდის მეთაურობით ჯარი გაჰგზავნაო.

ჩემბერლენი ამერიკას აპირებს წასვლას

ჩემბერლენმა მთელი ინგლისი შესძრა და ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, ამერიკას აპირობს წასვლას. ლონდონის გაზეთებს ატყობინებენ ნიუ-იორკიდან: ჩემბერლენი კანადაში სამ დიდს სიტყვას წარმოსთქვამს და დიდ აგიტაციას გამართავს, რომ კანადელებს თავისი სადამოჟნო პროექტი აუხსნას და მოაწონოსო. კანადიდან ჩემბერლენი შეერთებულ შტატებში წავა და იქაურ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებს თავის სადამოჟნო პოლიტიკას გააცნობსო.

ახალი ამბავი

◆ 23 ნოემბერს მოხდა ტფილისის **ვაჭართა საზოგადოების კრება**. კრებამ პირველად მოისმინა ანგარიში საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოსი. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, საკომერციო სასწავლებელში დაარსების დღესვე მიუღიათ 550 მოსწავლე. შემდეგ წლებში სკოლაში შესვლის მსურველი იმდენი ყოფილა, რომ მეხუთედსაც ვერ იღებდნენ. ამ სამოსწავლო წლამდე სასწავლებელში მიუღიათ 700 მოსწავლე. სამზრუნველო საბჭომ საკომერციო სასწავლებელთან დააარსა აგრეთვე საღამოს საბუხჰალტერო კურსები. პირველ სამოსწავლო წელს (1899 წ.) საკომერციო სასწავლებელს შემოსვლია 259,952 მან., აქედან საკუთარ სახლის აშენებაზე დახარჯულა 170,000 მან., ხოლო სასწავლებლის სხვა-და-სხვა საჭიროებაზე 76.236 მან. $1901/_2$ წელს სასწავლებელზე დახარჯულა 83,196 მან., $190_{2/3}$ სამოსწავლო წელს—87,101 მან. დასასრულ მოხდა არჩევნები საბჭოს თავმჯდომარისა და წევრებისა. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა გ. გ. ადელხანოვი, წევრებად: პ. ს. ლამბაროვი, ე. ა. დავიდოვი, თავ. ვ. ს. მიქელაძე, ა. ი. მანთაშოვი და მ. ი. დოლუხანოვი.

◆ საგუბერნიო მთავრობის განკარგულებით, ტფილისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებათა **მამასახლისებს** დარიგებული აქვთ დაბეჭდილი ბლანკები მოწმობებისათვის. მამასახლისებმა ეს მოწმობები უნდა მისცენ ხოლმე საკლავ და მუშა საქონლის მრეწველთ, როცა ერთი ადგილიდან მეორეში საქონელს მიერეკებიან და უნდა აღნიშნონ, ვისია საქონელი და ჭირი ხომ არ არის გავრცელებული. ზოგიერთი მამასახლისები ხშირად ბოროტად ხმარობენ მოწმობებს. ეხლა ხან ნავთლუღში ჩამოურეკნიათ ყაზახის მაზრიდან 10 სული საქონელი და 1 ცხენი ბორჩალოს მაზრის სოფელ გეურარხის მცხოვრებთ ალი და ვალი ჯაფარ-ოღლებს. მაზრის უფროსის თანაშემწეს გუგუშვილს შეუტყვია, რომ ეს საქონელი მოპარულია და ყალბის მოწმობებით მორეკილი გასასყიდლად. 21 ნოემბერს სამაზრო პოლიციას დაუპატიმრებია ჯაფარ-ოღლები. ქურდებს ორი მოწმობა ჰქონიათ ბორჩალოს მაზრის გეურარხის სოფლის საზოგადოების მამასახლისისაგან მიცემული. ეს მოწმობები გაეგზავნა ბორჩალოს მაზრის უფროსს ხსენებულ მამასახლისის პასუხის გებაში მისაცემად.

◆ ტფილისში, პუშკინის ბაღის პირდაპირ, „ფრანციის“ სასტუმროში 21 ნოემბერს შემდეგი **ქურდობა მოხდა**: ამ ნომრებში სცხოვრობს კარგა ხანია სამსახურს გარეშე მყოფი პორუჩიკი ლიახოვი. 21 ნოემბერს ლიახოვი სასეირნოდ წასულა, კარები კი დაუკეტია და გასაღები თან წაუღია. ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს გაუღიათ ლიახოვის ნომერი და მოუპარავთ ფულად 1500 მან., ხოლო ფასიანი ქაღალდები, ვექსილები და სხვა 200,000 მანეთისა. ეჭვი მიიტანეს სასტუმროს მსახურეებზე, რომელნიც ჯერ დაიჭირეს და შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს. გამოძიება სწარმოებს.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსის თანაშემწედ, ი. ს. შაიკევიჩის ნაცვლად, დაუნიშნავთ ინჟ. **რახმანინი**, რომელიც ამ დღეებში ჩამოვა ტფილისს.

◆ მთავრობამ განმარტა, რომ 1904 წლიდან აფთიაკებში **აფთეკარის შაგირდებად** მიიღებენ მხოლოდ გიმნაზიის კურს-დამთავრებულთ.

◆ დღეს, 25 ნოემბრისათვის, კავკასიის სამხედრო შტაბის სადგომში დანიშნულია რუსეთის **გეოგრაფიულ საზოგადოების** კავკასიის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც სამთო ინჟენერი პილცევი წაიკითხავს მოხსენებას განჯის გუბერნიაში წყალდიდობათა შესახებ.

◆ დიღომში, ტფილისიდან ასე ხუთ ვერსზე, არსებობს ერთი დუქანი, რომელსაც თეთრ დუქანს ეძახიან. ამ დუქანში ხშირად თავს იყრიან ხოლმე ქურდ-ბაცაცები. ამ დღეებში თიანეთის მაზრის სოფელ მაღაროს კარის ვაჭარს სანდრო არუთინოვს ურმებით ტფილისში მოჰქონებია გასასყიდლად მატყლი და ერბო. მგზავრებს თეთრ დუქანთან დაჰღამებიათ, ჩამომხტარან ღამის გასათევად. არუთინოვს თავის საქონლის გზაში დატოვება არა სდომებია, მაგრამ მედუქნეს ურჩევია, რა უშავს, აქ ვინ მოგპარავსო. იმასაც უდარდოდ კარში დაუტოვებია. ღამე ვიღაც ქურდებს მოუპარავთ 16 ფუთი და 16 გირვანქა ერბო. ქურდები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. გამოძიება სწარმოებს.

◆ საპერნი ქუჩაზე მცხოვრებ ჟღენტის ორ სართულიანი სახლი დაუთვალიერებია ქალაქის მესამე უბნის ხუროთმოძღვარს. ამ სახლის წინა კედელი ისე ჩამოძველებულა და დახეთქილა, რომ შესაძლებელია ჩამოინგრეს და მცხოვრებთ უბედურება დაატყდეთ. ხუროთ-მოძღვარმა სთხოვა გამგეობის სააშენებლო განყოფილებას, დაავალოს ჟღენტს კედელი დაანგრიოს და ახალი ამოუყვანოს.

◆ სერგეი მესხის სახელობაზე დასაარსებელ წიგნთ-საცავისა და სამკითხველოსთვის შესწირეს: ქუთაისის ქართულ წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ—თითო ცალი თავის ყველა გამოცემათა. ანნა პეტრიაშვილმა—ძველი №№ ჟურნალის „ჯეჯილისა“ და „მოამბისა“ და ხუთი ცალი სხვა-და-სხვა ქართული წიგნი, სილოვან ხუნდაძემ—თითო ცალი თავის თხზულებათა. ილ. ჭყონიამ—ცეცხლითა და მახვილითა და თ. მაგმაძის „კალმის მონასმი“. ალ. არაბიძემ—40 ცალი სხვა-და-სხვა ქართულ გამოცემათა.

◆ მახათის ქუჩაზე მცხოვრებმა, ქვრივმა მარიამ ლივიცკიმ განუცხადა პოლიციას, რომ კახეთში ყოფნის დროს ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ გაუღიათ ჩემი საკუჭნაო და გაუტანიათ ვერცხლისა, ოქროსა და სხვა ძვირფასი ნივთები, 250 მანეთისაო. ეჭვი მიიტანეს მოსამსახურეს პეტრესა და ლიუბავ გრიბონენკოზე, რომელნიც სადღაც დამალულან.

◆ განჯიდან გვწერენ: 20 ნოემბერს, რკინის გზის ვაგონში მეორე კლასის მგზავრს, გერმანიის ქვეშევრდომს ლუი ვალტერს ძილის დროს მოჰპარეს ჩემოდანი, რომელშიაც 900 მანეთის ნივთები და 100 მანეთი ფულად ყოფილა.

◆ შორაპანი: 20 ნოემბერს, შავის ქვის გადატვირთვის დროს მძიმედ დაშავდა დღიური მუშა იოსებ დოლოზაშვილი. დაშავებული საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ ქალაქის მიწის მზომლის თანაშემწემ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, იღონოს რამე, რომ პოლიციის მე-7 ნაწილში ხოლერიანთა სასაფლაო არ აინგრეოდეს. ერთი ნაწილი ამ სასაფლაოსი პ. ბებუთოვის მემკვიდრეს მიუყიდნია ქალაქის მცხოვრებთ ბულაევისა, ივაშჩენკოსა, შჩერბინინისა და პროხოროვისათვის.

◆ ტფილისის მოქალაქეს გ. შათირიშვილს ამ რამდენისამე დღის წინად უთხოვნია გუბერნატორისათვის, ნება დართოს პოლიციის მე 6 ნაწილში გამართოს ფეიერვერკების საკეთებელი ლაბორატორია. გუშინ საგუბერნიო საამშენებლო გამგეობა შეეკითხა ქალაქის გამგეობას, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ შათირიშვილს ნება მიეცეს ლაბორატორიის გასამართავადაო.

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც „ვოლინი“ იუწყება, სამხრეთ-დასავლეთ რუსეთიდან დიდძალი ებრაელები იხიზნებიან ამერიკაში. კოველის სადგურზე ყოველ მატარებლის გასვლის დროს აუარებელ მტირალ ქალებს ჰხედავს კაცი. ესენი არიან ცოლები, დედები და დები, რომელთაც შორს მიმავალი ქმრები, შვილები და ძმები გამოუცილებიათ სადგურამდის. სამშობლოს სტოვებენ და უცხო ქვეყნებში მიდიან მეტ-წილად ეკონომიურად შევიწროვებულნი: გაკოტრებული მედუქნეები, ხელოსნები, მუშები, ინტელიგენტები და ყველა გაბოროტებულნი.

◆ „ნოვ. ვრ.“-ს ატყობინებენ, რომ რუსეთის თურქესტანში ხალხი გაჭირვებულ მდგომარეობაშიაო. წარსულ ზამთარს ძლიერ დაზარალებულან მცხოვრებნი. საკვების უქონლობისა გამო მარტო შინაური ოთხფეხი 25 მილიონ მანეთისა გასწყვეტიათ.

ფელეტონი

შინ და გარედ

36.

ბოლო ხანებში რუსულს ლიტერატურაში ისევ „მუჟიკ“-ი გაბატონდა. უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში გლეხი და, საზოგადოთ, სოფელი თითქოს მივიწყებული იყო. მისი ალაგი სხვა ელემენტმა დაიჭირა და ლიტერატურას ახალი საჭირ-ბოროტო კითხვები გაუჩნდა. ეს საკითხებიც ძრიელ მწვავეა და დღესაც, ხვალეც მათი განხილვა პრესსის უპირველეს საქმედ დარჩება; მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი შეიქნა სოფლის მდგომარეობის საქმეც და ამიტომ ქალაქის მუშას გვერდს ამოუდგა მივიწყებული გლეხი და მწერლობისაგან თანასწორი ყურადღება მოითხოვა.

საქმის ასეთი გამობრუნება გამოიწვია რუსეთის გლეხობის საშინელმა გალატაკებამ, რაც ეხლა ოფიციალურად იქმნა აღიარებული და რომლის გამოსაკვლევად მთავრობამ სხვა-და-სხვა კომისია-კომიტეტები დააარსა. ამ საქმეს იძიებდნენ და იკვლევდნენ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტები, დაარსებულნი ს. ი. ვიტტეს თაოსნობით, ამ საქმესვე ემსახურება „ცენტრის გალატაკების კომისია“, ამ საქმისათვისვე ახლო მომავალში უნდა შესდგეს ახალი საგუბერნიო კომიტეტები, რომელთა შესახებ გუშინ გვქონდა გადმობეჭდილი საინტერესო ცნობა „რუსსკ. ვედომ.“-დან (იხ. გუშინდელ №-ში „რუსეთის ქრონიკა“).

ერთი სიტყვით, დღეს რუსეთის პრესსა, საზოგადოება, მთავრობა,—ყველა გლეხობაზე ახმაურდა და სოფლის მდგომარეობის მოწესრიგებაზე სჯის და კამათობს. საკითხი მეტად დიდ-მნიშვნელოვანია, რადგან სოფლის წესწყობილების მოწესრიგების საქმე დაუკავშირეს სახელმწიფოს წესწყობილების საერთო საკითხს და პირველის ასე თუ ისე გადაწყვეტიდან მოელიან საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობის შეცვლას.

მეტად საინტერესოა ეს ისტორიული მომენტი რუსეთის ცხოვრებაში და მით უფრო სამწუხაროა, რომ განაპირა ქვეყნები, მათ შორის ჩვენც, როგორღაც უკან ვრჩებით. ლაპარაკი და ფიქრი მხოლოდ ცენტრზეა, თითქოს ჩვენში „все обстоитъ благополучно“, თითქოს ჩვენი სოფელი სანეტარო ყოფაში იყოს. საქმე-კი, როგორც ვიცით, სხვა რიგად არის. სწორედ ბოლო ხანებში ჩვენებურ სოფელშიაც თავი იჩინა ბევრმა საგულისხმო ამბავმა, რომელიც მოწმობს, რომ ჩვენშიაც ამ მხრით ანორმალური მდგომარეობაა. შიდა რუსეთს ჩვენთან შედარებით კიდევ ის დიდი უპირატესობა აქვს, რომ იქ ცხოვრების მიერ წამოყენებული მძიმე საკითხი შესწავლილ-გაცნობილი აქვთ; ჩვენ-კი რა ვიცით ჩვენებურ სოფლისა? ვიცით, რომ ჩვენი სოფლის ცხოვრება მოუწყობელია; ამას შეგვიძლია კიდევ წავუმატოთ ზოგადი ფრაზები მიწა-წყლის სივიწროვისა, იჯარის რაოდენობის სიდიდისა და სხვათა შესახებ; მაგრამ ამის მეტს ვერას ვიტყვით. ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ჩვენი ცოდნა ხსენებულ მოვლენისა მეტად მცირეა; ცოტაა შემუშავებული სტატისტიკური მასალა, რომლის შემწეობით ჩვენ შეგვეძლოს გავითვალისწინოთ სოფლის ცხოვრება და გავიგოთ მისი ანორმალური ან ნორმალური პირობანი. ვართ ისე უნუგეშო და გამოურკვეველ მდგომარეობაში.

ამას წინად გაზეთებმა ამბავი მოგვიტანეს, გალიციის გლეხთა შორის მოძრაობა არისო. ჩვენთვის ეს ამბავი არც მოულოდნელი, არც გაუგებარი არ იყო. ჩვენ ვიცით, თუ დაწვრილებით არა, დაახლოვებით მაინც, რამდენი მიწა აქვს იქაურ გლეხს, რამდენია იქ უმიწაწყლო ბოგანო ხალხი, რა მდგომარეობაში არიან სოფლის მუშები, რა დამოკიდებულება არსებობს მათსა და გლეხებს შორის, რა დამოკიდებულება არსებობს გლეხთა და თავად-აზნაურთ შორის, რა და რა სახის იჯარა არსებობს იქ, როგორია მუშის ფასი და სხვა, ერთის სიტყვით, იმდენი ვიცით, რომ თავისუფლად შეგვიძლია დავისურათოთ იქაურ გლეხის ცხოვრება და, მაშასადამე, შეგვიძლია ავიხსნათ ამა თუ იმ მოვლენის ან მოძრაობის მიზეზი. თუ ფაქტები არ გაგვახსენდა, შეგვიძლია ჩავიხედოთ წიგნებსა და მასალებში, რომელნიც ხელთა გვაქვს, და გავიგოთ, რა ამბავი ხდება გალიციაში.

აგრეთვე ადვილად შეგვიძლია გზა გავიკვლიოთ შიდა რუსეთის ცხოვრებაში. თუ გავიგონეთ, რომ პოლტავის გუბერნიაში რაღაც უთანხმოებაა გლეხთა და მებატონეთა შორის, ან თუ წავიკითხეთ, რომ სამარის გუბერნიიდან დიდძალი გლეხობა დაიძრა ციმბირში გადასასახლებლად,—ჩვენ გვესმის ეს ფაქტები, ვიცით მისი ახლობელი მიზეზები, ვიცით ისიც, რა წამალი არგებს იარას...

მაგრამ სრულიად უნუგეშო მდგომარეობაში ვართ, როდესაც ჩვენის ქვეყნის კუთხიდან გვესმის ამგვარი ამბავი. როგორ ცხოვრობენ ამა თუ იმ ადგილას გლეხები და თავად-აზნაურნი, რა გვარია მათ შორის არსებული ურთიერთობა, რამდენი აქვთ მათ ადგილ-მამული, რა და რა სახის იჯარა არსებობს ჩვენს სოფელში, რამ დასცა ეკონომიურად გლეხობისა და აზნაურობის ერთი ნაწილი და სხვა ამგვარი ფაქტები და საკითხები აუხსნელი რჩება; ჩვენი სოფელი ნამდვილი terra incognita არის ჩვენთვის. სადამდის მიდის ჩვენი უცოდინარობა ამ მხრით, იქიდანაც სჩანს, რომ ბევრმა „ინტელიგენტმა“ დანამდვილებით არც იცის—ვინ არის ჩვენს სოფელში მჩაგვრელი და ვინ არის დაჩაგრული. რომელს ჩვენგანს არ მოსმენია ისეთი კამათი, როდესაც ერთი მხარე გაცხარებით ამტკიცებს: რას ამბობთ, სადღაა აზნაურობაო, ახლა გლეხებმა წაიწიეს წინ და აწუხებენ მებატონეთაო?! ვის არ გაუგონია უცნაური კამათი ხიზნების შესახებ?.. მაგრამ ეს მაგალითი იმდენად დამახასიათებელია, რომ ცოტათი შევჩერდეთ.

ყოველს ჩვენგანს გაუგონია და მრავალჯერაც გაუმეორებია—საბრალო ხიზნები ისეთნაირად შეწუხებულნი არიან მემამულეთაგან, რომ მუდამ დღე თავის „უენო საქონელთან ერთად ცას შეჰბღავიან“ და შველასა სთხოვენო. მაგრამ რაში მდგომარეობს დანამდვილებითა და დაწვრილებით ეს შევიწროება, ჩვენ არ ვიცით. ამიტომაც არის, რომ პირველსავე მემამულეს, რომელიც „მაგალითებით“ შეგვებრძოლება და „ფაქტებს“ მოგვახლის ცხვირ-პირში, ჩვენ ვუჩემდებით ან ზოგადის ფრაზებით ვლამობთ თავის დახწევას... აი ერთი მაგალითთაგანი:

ამას წინად გაზეთებში მოთავსებული იყო, ამა და ამ სოფლის ხიზნებს „მიუცვივდნენ მებატონე ა—ბიო და საქონლის წართმევას უპირებდნენო; ხიზნები შეგროვდნენ, მებატონეები გალახეს, ერთი მხლებელთაგანი სასიკვდილოდ დასჭრესო და სხვა. ამ ფაქტის გაგონებაზე ჩვენ წარმოგვიდგა „დაჩაგრულ ხიზნების მდგომარეობა და მტაცებელ მებატონეთა ძალმომრეობა“. მაგრამ დახედეთ რას ამბობენ არა მარტო მებატონენი, რომელთა მიუდგომელი სჯა ამ შემთხვევაში საეჭვოა, არამედ გარეშე მეთვალყურენიც, რომელთა მოწმობა სახეში მისა-

✦ 7 ნოემბერს ტაგანროგის მომრიგებელ მოსამართლეთა კრებას ხალხის დაუსწრებლად განუხილავს ბობრიკოვის საზოგადოების ათის გლეხის საქმე, რომელნიც პასუხისგებაში ყოფილან მიცემულნი შტუნდიზმის მიმდევრობისათვის. რადგან ბრალდებულნი თავის თავს ბაპტისტებად აღიარებდნენ, სასამართლოს საქმის გამოსაძიებლად ბობრიკოვის სოფელში გაუგზავნია მისიონერი კუტეპოვი. მისიონერი საქმის გამოძიების შემდეგ დარწმუნებულა, რომ ბრალდებულნი შტუნდიზმის მიმდევრები ყოფილან. სასამართლოს ბრალდებულნი დამნაშავედ უცვნია და ოც-ოცი მანეთით დაუჯარიმებია.

✦ ხარკოვის სამოსამართლო პალატას განუხილავს საქმე დ. ნიკოპოლის გლეხებისა ტ. გარმაშისა, ფ. კალინისა, დ. შპინდისა, ი. კირპიონკისა, ი. კრუპინისა და ა. ნაუმენკოსი, რომელნიც პასუხის-გებაში ყოფილან მიცემულნი პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევისა გამო. ეკატერინოსლავის მაზრის დ. ნიკოპოლის ქუჩაში რაღაც მიზეზისა გამო პოლიციელთ შეუპყრიათ გლეხი ი. გოლუბი და პოლიციის ზედამხედველის განკარგულებით წაუყვანიათ სოფლის სატუსაღოში. სოფლის სამმართველოში ამ დროს ყრილობა ყოფილა. როდესაც პოლიციელთ სამმართველოსთან გაუჩერებიათ ეტლი, ხალხს დაუნახავს ეტლში თოკით შეკრული და დასისხლიანებული ი. გოლუბი და პოლიციელთათვის დაუწყია ყვირილი და უშვერის სიტყვებით ლანძღვა. რამდენიმე გლეხი მივარდნია ეტლს და ძალად გაუნთავისუფლებია გოლუბი. ამასთან ხალხიდან მოისმოდა ყვირილი: „სცემეთ პოლიციელთ". პალატას გადაუწყვეტია ტ. გარმაშისა და ფ. კალინისათვის თითო კვირით დაპატიმრება, ხოლო დანარჩენნი დამნაშავედ არ უცვნია.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ 31 ოქტომბერს ბოროტ-გამზრახველთ მძიმედ დასჭრეს ბელოსტოკის პოლიცმეისტერი მეტლენკო. როგორც „ვარშავ. დნ." იუწყება, ეს მესამედ არის თურმე, რაც მეტლენკოს მოკვლა განუზრახავთ. პირველად 19 აგვისტოს ცდილან მეტლენკოს მოკვლას, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ. მეორედ შეიარაღებულნი ჩასაფრებულან ქალაქ გარედ ტყეში, მაგრამ ესეც დროზე ყოფილა შემჩნეული და განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანიათ.

პრესსა

გუშინდელს „პრესსა"-ში აღნიშნული გვქონდა გაჭირვებული მდგომარეობა ფოსტა-ტელეგრაფის დაბალ მოხელე-მოსამსახურეთა. იმავე ყოფაში, თუ უარესში არა, ფელდშრებიც არიან. ამ მივიწყებულ მუშაკთა მდგომარეობაზე კარგა ხანია ლაპარაკობენ გაზეთები. რამდენისამე წლის წინად ჟურნალ „მირ ბოჟი."-ში დაიბეჭდა საინტერესო წერილი პ. ვ. ზასოდიმსკისა, რომელმაც მშვენიერად დაასურათა ფელდშერის აუტანელი ცხოვრება. ავტორმა აღნიშნა ფელდშრების დიდი შრომა და მეტისმეტად მცირედი ჯილდო, რომელსაც ისინი იღებენ, და ამ სიტყვით დასკვნა თავის წერილი:

> რა არგუნა ცხოვრებამ ფელდშრებს მათ მძიმე და დიდ შრომის ნაცვლად? არგუნა: ნახევრად შიმშილი, ექიმების მხრით მედიდური მოპყრობა, ხალხის უნდობლობა, ათასგვარი წყენა და შევიწროება წვრილ და მსხვილ მოხელეთაგან.

ზასოდიმსკის წერილს იხსენებს გაზ. „კურიერ"-ი და ასე ახასიათებს ფელდშრების მდგომარეობას:

> ესენი დიდსა და პატიოსან შრომას ეწევიან. ფელდშრები უფრო დიდ რაიონს ემსახურებიან და უფრო მეტ ხალხს აწვდიან საექიმო დახმარებას, ვიდრე ექიმები. როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ მოვალეობას, ამაზე ეხლა არას ვიტყვით, არავინ იტყვის, ფელდშრების საექიმო მოღვაწეობა უნაკლულო იყოს, მაგრამ განა ისინი არიან დამნაშავენი? მათგან ძლიერ ბევრს თხოულობენ და, სამაგიეროდ, ადამიანურ ცხოვრების მოწყობისთვის არაფერს აძლევენ.
>
> აი, რას გვეუბნებიან მიუდგომელი ციფრები ფელდშრების შრომის შესახებ. 1892 წელს 12.435 ექიმზე შიდა რუსეთში მოდიოდა 15.669 ფელდშერი. 34 საერობო გუბერნიაში საექიმო სადგური იყო 1572, საფელდშრო-კი 2578. 12 უერობო გუბერნიაში 201 საექიმო პუნქტზე მოდიოდა 1306 საფელდშრე პუნქტი. საერობო გუბერნიებში ისეთი მაზრებია, სადაც ფელდშრები ექიმებზე უფრო მეტ ავადმყოფს იღებენ. მაგალითად, ნოვგოროდის მაზრაში ფელდშრები ყოველ წელს იღებენ ყველა ავადმყოფთა 60%-ს, ალექსანდროვის მაზრაში—70%-ს და სხვა; სიმბირის გუბერნიაში 1899 წელს ექიმებმა გასინჯეს 386 ათასი ავადმყოფი, ფელდშრებმა-კი 398 ათასი.
>
> ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, რომ ფელდშრების მოვალეობა უფრო მძიმეა, ვიდრე ექიმებისა. ისინი უფრო მეტ დროს რჩებიან საავადმყოფოში, უფრო მეტ ზნეობითსა და ფიზიკურს ტანჯვაში არიან ავადმყოფთა მოვლის დროს... მერე, როგორ ფასდება ეს დიდი შრომა და ტანჯვა ფელდშრებისა? სულ მცირედათ: ფელდშერი იღებს თვეში 20—25 მანეთს. ზოგან ამ ფულით ფელდშერმა ცხენიც უნდა იყიდოს და ინახოს, რადგან სოფლებში ხშირი მისვლა-მოსვლა აქვს დაკისრებული. ამ დიდ შრომასთან და მცირე ჯილდოსთან ისიც გაიხსენეთ, რომ ფელდშერს ექიმიც, სოფლის მოხელეც, ხალხიც მედიდურად და უნდობლად უყურებს და მის ღვაწლს არაფრად აგდებს.

ერთის სიტყვით, ძნელი ხვედრია და მძიმე უღელი, და სამართლიანობა მოითხოვს ფელდშრის მდგომარეობასაც მიექცეს ყურადღება.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. „და ტერეზა ანუ მონასტრის ზღუდეთა შორის", რომელიც კვირას, 23 ნოემბერს, წარმოადგინეს, შედარებით კარგი მელოდრამაა. იგი ბევრად სჯობია ორ ჯიბგირს, კოვერლეის მკვლელობას, გაძარცულ ფოსტას და სხვა ამისთანებს. ჩვენ არტისტებს სავსებით შესწევთ ძალ-ღონე ამ პიესის კარგად წარმოსადგენად. გაიძვერა და ქვეშ-ქვეშა მონაზვნების ჯუზეპპასი და მარიამის როლები ზედ გამოჭრილია ქ-ნთ გაბუნია-ცაგარლისა და ჩერქეზიშვილზე. სამწუხაროდ, ამ საღამოს ორივეს რაღაც უგუნებობა და თითქოს გაუბედაობა ეტყობოდათ. მაინც ორივემ საკმაოდ ნათელის სურათებით დაგვანახვეს ამ ვითომდა სულისთვის გადამდგარ, ნამდვილად-კი ხორციელად და სულიერად გახრწნილ ადამიანთა ბუნება. მთავარ როლებს ასრულებდნენ ქ-ნნი კარგარეთელი და ჩხეიძე, პირველი და ტერეზასას, ხოლო მეორე—ადელინასას. ადელინა ჯერეთ ბავშვია, უმანკო, რომელიც ცხოვრებას შეჰხარის, სწყურიან სიყვარული, ხალხში გასვლა. ქ-ნმა ჩხეიძემ თითქმის უნაკლულოდ ჩაატარა ეს როლი. ყოველ იმის სიტყვასა და მიხვრა-მოხვრას ბავშვური გულუბრყვილობა და გულწრფელობა ეტყობოდა. კარგი იყო ქ-ნი კარგარეთელი ტერეზას როლში და ბ-ნი ყიფიანი გრაფ ემპოლისაში. საზოგადოდ, პიესამ რიგიანად ჩაიარა და უკეთ ჩაივლიდა, რომ ზოგიერთ მსახიობთ უფრო ბეჯითად სცოდნოდათ როლები. კერძოდ, არ შეგვიძლიან არ ავღნიშნოთ ბ-ნთ შალიკაშვილისა და იმედაშვილის დაუდევრობა. ერთმაცა და მეორემაც ამ ბოლო დროს მეცადინეობას უკლეს. ამ ახალგაზრდა მსახიობთ არ ეპატიებათ როლის უცოდინარობა. ბ-ნმა შალიკაშვილმა პირველ მოქმედებაში ერთ ადგილას ისე არია თავისი სათქმელი, რომ საზოგადოებას სიცილი აუვარდა.

დღეს, 25 ნოემბერს, ქართულ თეატრში ბენეფისია არტისტის ს. სვიმონიძისა. ბ-ნ გედევანოვთან ერთად ბ-ნ სვიმონიძესაც ამ სეზონში შეუსრულდა თხუთმეტი წლიწადი სასცენო მოღვაწეობისა. პირველად ბ-ნი სვიმონიძე აქ, ტფილისში, გამოვიდა სცენაზე 1889 წელს, 8 ნოემბერს და შეასრულა ახალგაზრდა თავადის ვახტანგის როლი „ბაგრატ მეოთხე"-ში: დასი მაშინ ბ-ნ ვ. აბაშიძეს ეჭირა. მას აქეთ სვიმონიძე ქართულ თეატრს აღარ მოშორებია. ბევრი კარგი როლი აქვს ბ-ნ სვიმონიძეს და იშვიათია ისეთი წარმოდგენა, რომ იგი მონაწილეობას არ იღებდეს. არტისტის ერთ საუკეთესო როლად ითვლება იაგოს როლი ოტელლოში, რომელსაც დღეს საბენეფისოდ წარმოადგენენ. ოტელლოს როლს შეასრულებს ბ-ნი გუნია, ხოლო დეზდემონასას—ქ-ნი ჩხეიძე.

19 ნოემბერს მოსკოვის საიმპერატორო თეატრში წარმოადგინეს თავ. სუმბათაშვილის ახალი პიესა „ღალატი". როგორც „რუს. ვედ". და „კურიერ"-ი გადმოგვცემენ, პიესა ძალიან მოსწონებია საზოგადოებას. ქართულად ეს პიესა უკვე გადათარგმნილია და ამ ცოტა ხანში იმის წარმოდგენასაც ჰფიქრობენ. მოსკოვში პიესისთვის დაუმზადებიათ ახალი დეკორაციები და ტანისამოსები. მთავარ როლებს ასრულებდნენ ისეთი არტისტები, როგორიც არიან ქ-ნნი ერმოლოვა, იაბლოჩკინა, გრიბუნინა, ბ-ნნი რიბაკოვი, ლენსკი, აიდაროვი, სადოვსკი და სხვანი. თავ. სუმბათაშვილისთვის დაფნის გვირგვინი მიურთმევიათ.

ბათუმი. ბათუმის ქართველებს, როგორც იქმნა, გველირსა ქართული წარმოდგენები. ამ დღეებში ქართ. დრამატიულ საზოგადოების ქუთათურმა დასმა გამართა ორი წარმოდგენა. პირველი გაიმართა 21 ნოემბერს. წარმოადგინეს „მურად ფაშა" და ვოდევილი „არივ-დარია". წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. მეორე წარმოდგენა გაიმართა 22 ნოემბერს, წარმოადგინეს „დამნაშავეა" და „დედის ნებიერი". ამ მეორე წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა. დრამაში კარგები იყვნენ ვ. გუნია, ქ-ნი ივანიძე, თუთბერიძე. საზოგადოება ორსავე წარმოდგენას ცოტა დაესწრო. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის ბალი, რომელიც ქ-ნ დრიაგინას მეთაურობით გაიმართა თვით-მართველობის სახლში 21 ნოემბერს.

მერი

ლუდვიგ ფულდას ახალი პიესა „ნოველლა დ'ანდრეა". ეხლა ხან ვენის საქალაქო თეატრში

ღებია. ეს ხიზნები—ოსები არიანო, გვეუბნებიან ესენი; ბევრს მათგანს მთებში ადგილ-მამული აქვთ, მიუხედავად ამისა შემოხიზნულან ქართლში, შეუკრავთ ერთმანეთში პირი და აწუხებენ ქურდობითა ღ მტაცებლობით ქართველთაო; მეტის მეტად დაჩაგრული ჰყავთ ქართველი გლეხებიო. აი ამ შემთხვევაშიაც ასეთი შეწუხება იყო: ხიზნებმა ა—ბის დროებით ვალდებულ გლეხებს მოსტაცეს საქონელი; გლეხებმა მებატონეთ შესჩივლეს, ესენი წავიდნენ, გამოესარჩლნენ თავიანთ გლეხებს, მაგრამ ხიზნებმა მიბეგვეს და ისე გამოისტუმრესო. ამ ფაქტს თუ დავუჯერეთ, ხიზნები საბრალო კრავები-კი არა, საშიში მგლები ყოფილან; ჩვენი მემამულეები-კი—გულ-მართალნი რაინდნი, რომელნიც უშიშრად და თავგამოდებით იბრძვიან საწყალ გლეხთათვის. ეს, რასაკვირველია, უფრო ლამაზ ზღაპარსა და იდილიას წააგავს, ვიდრე სინამდვილეს, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ ბევრსა სჯერა. რატომ?

იმიტომ რომ ნამდვილად არ ვიცით ხიზანთა მდგომარეობა; არ შეგვიძლია გავამტყუნოთ მემამულეები, როდესაც ისინი გვარწმუნებენ: ხიზნებს მთებში ბევრი მამული აქვთო; როდესაც ისინი გვიმტკიცებენ: ხიზნები-ოსები ჩვენებურ გლეხებს სჩაგრავენო; როდესაც ისინი გადმოგვცემენ: ხიზანი დღესაც იმას იხდის, რასაც წინად იხდიდა მიუხედავად იმისა, რომ მემამულე ახლა მეტ გადასახადს იხდის მამულზე, ვიდრე მას ერგება ხიზნებისაგანო და სხვა. მოდით და ეკამათეთ ამგვარ მემამულეთ, რომელთაც „ფაქტებიც" აქვთ და საქმის ცოდნაც, თუ გინდ ცალ-მხრივი...

საქმე, რასაკვირველია, კამათი არ არის. ჩვენ უეჭველია უფრო ახლოსა ვართ სიმართლესთან, როდესაც ვამტკიცებთ ხიზანთა გაჭირვებას, ვიდრე ისინი, ვინც მათ მგლობაზე გვითითებენ; მაგრამ უბედურება არ არის, რომ ამის დამტკიცება არ შეგვიძლია, „მოვლენის" ყოველმხრივი აღწერა არ შეგვიძლია, რათა უებარი საშუალება ვაჩვენოთ იარის განკურნებისათვის...

ასეთ უმწეო მდგომარეობაში ვართ არა მარტო ხიზანთა მდგომარეობის შესახებ, არამედ, საერთოდ გლეხობის შესახებ. აი მშვენიერი მაგალითი: ყველას გვეგონა, რომ ჩვენებურ გლეხთა შორის, შედარებით, გურულების ყოფა-ცხოვრება უფრო ნორმალურია; მაგრამ ბოლოს დროის ამბები სრულიად სხვა რამეს გვეუბნებიან. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების ახალმა ევოლიუციამ ყველაზედ წინ გურია-იმერეთში იჩინა თავი; ჩვენ ვიცით, რომ ამის მიზეზით გურია-იმერეთში უფრო ჩქარა მიდის დიფერენციაციის პროცესსი; მაგრამ ჩვენი ცოდნა ძლიერ მცირეა და ამიტომაც ბოლოს დროის უცნაური ამბები თითქმის მოულოდნელი იყვნენ ჩვენთვის; ამიტომაც ჩვენ არ შეგვიძლია სრული სურათი წარმოვიდგინოთ გურიის გლეხობის ცხოვრებისა და ვსთქვათ, რომ უთუოდ ამგვარ გამწვავებამდე უნდა მისულიყო საქმე. სანამდის მიდის ჩვენი უცოდინარობა ამ საქმეში, სჩანს თუნდ ერთ ქართულ გაზეთის ქრონიკიორის გულ-უბრყვილო შენიშვნიდან გურიაში მომხდარ ამბების გამო: „ეჭვი არა გვაქვს, რომ სათანადო მთავრობა დროზე მიიღებს შესაფერს ღონისძიებას და მოსპობს ასეთს უწესოებას." გაზეთი ისე ლაპარაკობდა, თითქო სოფელში ქვა-სროლიები გაჩენილიყოს და მამასახლისს ევალება უწესოების მოსპობა...

ჩვენი ცხოვრება მეტად გართულდა. ჩვენებური სოფელი ახლა ის აღარ არის, რაც 20—30 წლის წინად იყო. ბატონყმობის უფლებაზე დამყარებული წესწყობილება და პატრიარქალურ-ნატურალური ეკონომიური წყობილება მოიშალა ანუ, უფრო მართალი იქნება ვთქვათ, იშლება. წოდებათა ადგილს იჭერენ კლასსები: მსხვილ, შუათანა და წვრილ მესაკუთრეებისა და სოფლის მუშათა. მათ შორის ურთიერთობა გაწესრიგებულია ახალ ეკონომიურ (კაპიტალისტურ) ევოლიუციის კანონებით. მეორეს მხრით, ჩვენში დარჩენილია ძველის დროის, ძველის ეკონომიურის წყობილების ელემენტები, როგორც თავად-აზნაურობის უპირატესობანი და გლეხთა დროებითი ვალდებულება. ამ ძველ „ზედშენობისა" და ახალ „საძირკველის" შორის უთანხმოება, რასაკვირველია, ძალიან ამწვავებს ჩვენში სოფლის მცხოვრებთა ურთიერთობას... ამას უნდა დავუმატოთ სრული ბიუროკრატიულ-პოლიციური მმართველობა ჩვენებურ სოფელში, ესე იგი, ადგილობრივ თვითმართველობის, საზოგადოებრივ ცხოვრების არ არსებობა, რაც ძალიან უშლის ხელს სოფლის ცხოვრების პირობათა გაუმჯობესებასა და სოფლის ხალხის თვითცნობიერების განვითარებას...

ეს არის ჩვენის ახლანდელის სოფლის ცხოვრების საზოგადო სურათის ჩონჩხი. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ გარეგან ნიშნებითა და სხვა ქვეყნების ცხოვრების მაგალითით ვიცით, რომ ამგვარი მიმართულება მიიღო ჩვენებურმა სოფელმა, თორემ თვით ცხოვრებას არ ვიცნობთ და ამიტომ არ შეგვიძლია ვთქვათ, რამდენზე შორს წავიდა ნაჩვენები ევოლიუცია. ამ მხრით ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს შესანიშნავ სხვა-და-სხვაობას. გურია, სამეგრელო, იმერეთი (ქვემო ცალკე და ზემო ცალკე), ქართლი (ქვემო ცალკე და ზემო ცალკე), კახეთი, მთიულეთი—ყოველი ნაწილი ხსენებულ ევოლიუციის სხვა-და-სხვა სტადიაზეა ამ ჟამად, სხვა-და-სხვა საფეხურზე; მაშინ, როდესაც გურიაში კლასთა დიფერენციაცია უფრო შორს არის წასული, ჩვენი მთიულეთი ისევ ნატურალურს ხანაშია. გურია და ფშავ-ხევსურეთი—აი უკიდურესი რგოლები ამ ჯაჭვისა! მაგრამ საერთო მათში ის არის, რომ იქაც და აქაც ანორმალური პირობებია...

ასე გართულდა, ვიმეორებთ, ჩვენი ცხოვრება და ასე სხვა-და-სხვა ასაკშია შესული ახალი ეკონომიური წეს-წყობილება ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა ადგილებში. ყველა ამას შესწავლა უნდა, ყოველს მხარეს განსაკუთრებული აღწერა სჭირია, ყოველს ეკონომიურს ფაქტორს საკუთარი განხილვა სჭირია. თუ სტატისტიკური მასალა არ შევგროვდა, თუ კომლობითი აღწერილობა არ მოხდა, ჩვენებურ სოფლის ამბავს დანამდვილებით ვერ გავიგებთ, ვერ მივხვდებით, ხალხის გულში ვერ ჩავიხედავთ, ცხოვრებას რა სჭირია დღეს ვერ გამოვიცნობთ; ერთის სიტყვით, უძლური ვიქნებით თეორეტიულ მსჯელობაში სოფლის შესახებ და უღონონი პრაქტიკულ სამოღვაწეო პროგრამის შედგენაშიაც!

ასეთი უმწეო მდგომარეობა ჩვენი განსაკუთრებით დღეს არის სამწუხარო, რადგან, როგორცა ვსთქვი, სწორედ დღეს არის რუსეთში მიქცეული სოფელზე დიდი ყურადღება. დიდ-მნიშვნელოვანი ისტორიული მომენტია, რომელიც უშედეგოთ ვეღარ დარჩება და ამიტომ საჭიროა ჩვენც არ ჩამოვრჩეთ „ცენტრს". რა არის ამისათვის საჭირო, ამაზე ხვალ ვიტყვი ორიოდე სიტყვას, რადგან დღევანდელი საუბარი ისედაც გაგრძელდა.

გან

(ბურგთატერ) წარმოუდგენიათ ცნობილ ფულდას ახალი ოთხმოქმედებიანი ლექსად დაწერილი დრამა.

მოქმედება სწარმოებს ბოლონიაში (იტალია), მეთოთხმეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ამ ქალაქში სცხოვრობდა ცნობილი პროფესორი სამართლისა ჯიოვანი დ,ანდრეა, რომელსაც ორი ძალიან ლამაზი ქალი ჰყავდა—ნოველლა და ბეტინა. ნოველლა იმ თავითვე გატაცებული იყო მეცნიერებით და დიდ შრომასაც ეწეოდა, რომ ღრმად შეესწავლა იურისპრუდენცია. ბეტინა-კი ნამდვილი დიასახლისი იყო: სამზარეულოსა და საკუჭნაოზე ჰფიქრობდა და მამაზე და დაზე ზრუნავდა, რადგან მათ ყოველ დღიურ საჭიროებისათვის არ ეცალათ მეცნიერების გამო. ნოველლა ისე დაწინაურდა მეცნიერებაში, რომ ეგზამენის დაჭერის შემდეგ უნივერსიტეტმა პროფესორობის უფლება მისცა.

იმ დროისათვის პროფესორი ქალი წარმოუდგენელი მოვლენა იყო და როცა, ერთ დღეს, მამის ავადმყოფობის გამო ნოველლა წავიდა უნივერსიტეტში ლექციის წასაკითხავად, სტუდენტებმა ერთი აურ-ზაური ასტეხეს და ქალ-პროფესორს ლანძღვა-გინება დაუწყეს; ერთი სტუდენტი იქამდე გაკადნიერდა, რომ კოცნა დაუპირა ლამაზ პროფესორს, და შეასრულებდა კიდეც თავის განზრახვას, რომ მხსნელი არ გამოსჩენოდა სუსტს არსებას. ეს მხსნელი იყო პრინცი უგო, მემკვიდრე კიპრის მეფისა. სტუდენტებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი და გაბედული რაინდი კინაღამ არ აკუწეს.

პრინცს დიდი ხანია თურმე უყვარს ნოველლა და ეხლა სარგებლობს შემთხვევით, რომ თავისი მხურვალე გრძნობა გამოუცხადოს მშვენიერ პროფესორს. ქალს ჯერ ჰგონია, რომ პრინცს მისი საყვარლად გახდომა სურს, მაგრამ პრინცი არწმუნებს, რომ ქალი ცოლად და დედოფლად უნდა, რადგან ბიძამისი უკვე მომკვდარიყო და დეპუტაცია იყო მოსული, რომ სამეფო გვირგვინი პრინც უგოსათვის გადაეცა.

ქალი გადაჭრილ პასუხს არ აძლევს შეყვარებულ პრინცს: ჯერ ახალგაზრდა პროფესორის სანჯიორჯიოს აზრის გაგება მოისურვა: თურმე ეს პროფესორი უყვარს მშვენიერ ნოველლას; და რადგან სანჯიორჯიომ ურჩია, რომ არ დაეტოვებია მეცნიერება, ქალი ამაად უარს ეუბნება პრინცს და თავისს საქმეს განაგრძობს.

სანჯიორჯიო ვერ ამჩნევს, თუ რა გრძნობით არის გამსჭვალული ნოველლა. ახალგაზრდა პროფესორს მოსწონს ნოველლას და ბეტინა; ბეტინასაც თვალში მოდიოდა სანჯიორჯიო. მაგრამ რადგან ბეტინამ იცოდა დის საიდუმლო, სანჯიორჯიოს უარს ეუბნება. ახალგაზრდა პროფესორმა მიჰმართა ნოველლას და დახმარება სთხოვა. ნოველლა ეხლა ხედავს თავის უბედურებას და ძლივს შეიმაგრა თავი, რომ თავისი საიდუმლო არ გამოემჟღავნებია. როგორც იქმნა, თავის გულს მოერია და მართლა დაეხმარა სანჯიორჯიოს. გაბედნიერებული შეყვარებულები უსაზღვრო მადლობას ეუბნებიან ნოველლასი და მიდიან სხვა ქალაქში, რადგან სანჯიორჯიო იქ გადაიყვანეს პროფესორად.

გავიდა ათი წელიწადი;ნოველლა ისევ პროფესორია ბოლონიაში და სტუდენტები დიდ პატივს სცემენ მას; მაგრამ ქალი ობლად და უბედურად გრძნობს თავს მიუხედავად მეცნიერებისა. ვერ არის ბედნიერი სანჯიორჯიოც. ბეტინამ ჩაითრია თავისი ქმარი წვრიმალ, ყოველ-დღიურ ცხოვრებაში და მისი მაღალი აზრები და განზრახვები სრულიად უნაყოფონი შეიქმნენ; ბეტინას სძულს ეს აზრები და განზრახვანი, რადგან სულ იმის შიშშია, რომ მათის წყალობით ქმარს დაჰკარგავს. სანჯიორჯიო ყველაფერს უუბნება ნოველლას და ესეც გამოუტყდება მას, რომ თუ მეცნიერებას მოჰკიდა ხელი, მხოლოდ იმიტომ, რომ სანჯიორჯიოს სასიამოვნო საქმე ექმნა; შენი სურვილი რომ ყოფილიყო, მეცნიერებას თვალითაც არ შევხედავდი, ეუბნება გაუბედურებული ქალი თავის სატრფოს.

სანჯიორჯიო მზად არის ეხლა გაასწოროს თავისი შეცდომა, მაგრამ ქალი წინააღმდეგია: ახალ ცხოვრების დაწყება გვიან იყო და ქალს ეხლა მშვიდობიანობის მეტი არაფერი უნდოდა.

ისევ შორდებიან ერთმანეთს სანჯიორჯიო და ნოველლა დ'ანდრეა და ასე მწუხარედ და სევდიანად თავდება ფულდას ახალი დრამა,

სასამართლო

I

როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, ქუთაისის ოლქის სასამართლოს გადაეცა განსახილველად საქმე შორაპნის მაზრის დაბა ჭიათურისა და ჭიქოურ-დარკვეთის შავის ქვის მუშებისა: გერასიმე და სილიბისტრო ჯიშკარიანებისა, ერმალოზ ესებუასა, სარდიონ ლუტიძისა, ბესარიონ ჯანელიძისა, ალექსანდრე ბუაძისა, ვასილ მომფორიასა, გიორგი რუხაძისა, ივანე ფირცხალავასა, ალექსანდრე მესხისა, ზინოვ შუკაკიძისა, ვასილ პარტლაძისა, იაგორ გაფრინდაშვილისა, იოსებ ყიფშიძისა, ათანასე რუხვაძისა, პიმენ გაჩეჩილაძისა, კირილე სიხარულიძისა, ილიკო მეგრელიშვილისა, დავით პაპიძისა, ბესარიონ გაჩეჩილაძისა, სოფრომ იაკობაშვილისა, ვასილ ტალახაძისა, გიორგი ქამუშაძისა, ლავრენტი გრძელიშვილისა, ვახტანგ ქამუშაძისა, მინა კურტანიძისა, დომენტი გძელიშვილისა, სარდიონ და სპირიდონ ღუღუნიშვილებისა, სტეფანე არუსიასა, მალაქია მეგრელიშვილისა, ვანო ბრეგვაძისა იასონ ხვედელიძისა და საბეითლო ინსტიტუტის სტუდენტად ნამყოფის ტერენტი წერეთლისა. ამათგან წერეთელს, გძელიშვილს, ქამუშაძეს, კურტანიძეს და სარდიონ და სპირიდონ ღუღუნიშვილებს ჰბრალდებათ ხელმძღვანელობა 1903 წელს 17 ივლისს ჭიათურაში მომხდარ შავი-ქვის მუშათა უწესოების დროს. არუსიასა, მეგრელიშვილსა, ბრეგვაძეს, ხვედელიძეს—სასწორებისა და ბუტკების დანგრევის დროს მეთაურობა, ხოლო დანარჩენს მუშებს—უწესოებაში მონაწილეობის მიღება და საზოგადო მშვიდობიანობის დარღვევა. ზემოდ დასახელებული ბრალდებულნი პასუხის გებაში მიცემულნი არიან სასჯელთა დებულების მე-269 მუხლის ძალით. ამ საქმეს ქუთაისის ოლქის სასამართლო იუსტიციის მინისტრის განკარგულებისამებს განიხილავს ხალხის დაუსწრებლად ქუთაისში 1904 წლის გაზაფხულზე.

II

გუშინ, 24 ნოემბერს ტფილისიდან გორში გაემგზავრა ოლქის სასამართლოს სესია ბ-ნ მაიგურის თავმჯდომარეობით. სესია გორში დაჰყოფს 3 დეკემბრამდე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ნოემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე-იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და ფინანსთა მინისტრს პლესკეს ნება დართო ავადმყოფობისა გამო სამსახურს დროებით თავი დაანებოს. ამასთანავე უმაღლესად ბრძანა ფინანსთა სამინისტროს მართვა-გამგეობა ტაინი სოვეტნიკ პლესკეს სამსახურიდან დათხოვნის დროს გადაეცეს ტაინი სოვეტნიკს რომანოვს.

ჰელსინგფორსი. 23 ნოემბერს ფინლიანდიის სენატის პატივსაცემლად გენერალ-გუბერნატორის მიერ გამართული იყო ნადიმი, რომელსაც დაესწრნენ თავიანთ მეუღლით სენატორები, პროკურორი, წარმომადგენლები ჯარებისა, უნივერსიტეტისა და ადგილობრივ დაწესებულებათა. ნადიმზე წარმოთქმულმა ხელმწიფე-იმპერატორისა, ხელმწიფე-დედოფლისა და ხელმწიფე-მემკვიდრის სადღეგრძელოთ აღტაცებული „ურა“ გამოიწვია. სადღეგრძელო სენატისა, უნივერსიტეტისა და ფინლიანდიისა გულითადის თანაგრძნობით იყო მიღებული ყველასაგან.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). საერო კრება ისევ ამოწმებს, არჩევნები სწორედ არის მომხდარი თუ არა. შემმოწმებელმა კომისიამ გადასწყვიტა, წინადადება წარუდგინოს კრებას, რომ ოპოზიციის ზოგიერთ დეპუტატის არჩევა უკანონოდ იქმნას აღიარებული და სხვების არჩევის შესახებ კი გამოძიება დაინიშნოს, რომ ამ გზით შეამცირონ ოპოზიციის დეპუტატთა რიცხვი. სამინისტრომ მოსთხოვა კრებას, მოიწონოს მთავრობის განკარგულება მოხელეთა კანონის გაუქმების შესახებ.

მოსკოვი. მესამე კადეტთა კორპუსში კადეტების თანადასწრებით დირექტორმა ჩააბარა მედალი „ზა სპასენიე პოგიბავშის“ მე-5 კლასის კადეტს ზბრუევს, რომელმაც ბავშვი წყალში დახრჩობას გადაარჩინა; ამასთან წაიკითხეს ქაღალდი, რომელზედაც მის იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელით დაწერილი იყო: „**თანახმა ვარ, ყოჩაღ**“. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში რუსეთის სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოების სხდომაზე იმდენი ხალხი შეიყარა, რომ იმ მწერლებმა, რომლების მოსასმენად შეკრიბა ხალხი, დარბაზში შესვლა ვერ მოახერხეს და სხდომა აღარ შესდგა.

ორიოლი. დღეს, ორიოლის გუბერნიაში დაბადებულის პოეტ ტიუტჩევის დაბადების ასის წლის თავზე, სათავად-აზნაურო კრებაში იმის სახსოვრად დღესასწაული გადაიხადეს. თავად-აზნაურობის წინამძღოლმა სტახოვიჩმა მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა.

იზიუმი. საზოგადო ბიბლიოთეკის შენობა აკურთხეს. ამ შენობაში 60 ათასი წიგნი დატევა; შიგაა გამართული კაბინეტი წიგნების საკითხავად, სახალხო სამკითხველო, მუზეუმი და წიგნის მაღაზია.

მალმიჟი. საგანგებო საერობო კრებამ დაადგინა, 1905 წლიდან 75 სკოლა გავხსნათო, ყოველ წელიწადს ათ-ათიო.

ვორონეჟი. 20 ნოემბერს წმ. მიტროფანეს გარდაცვალების ორასის წლის თავზე წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს. წუხელის მთელი ღამე ათიეს. ხალხი მთელი ღამე მიტროფანეს წმ. ნაწილს ემთხვეოდა. დღეს ვორონეჟისა და სხვა ქალაქებიდან მოსული სამღვდელოება ლიტანიით მიტროფანეს მონასტერისაკენ გაემართა, იქ არქიეპისკოპოსი ათანასე მოეგება და საერთოდ წირვა გადაიხადეს. წირვას წარჩინებული მოხელეები, ქალაქის წარმომადგენლები, მოსწავლეები და დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. სადამოთი წმ. მიტროფანეზე მონასტრებსა და სახალხო და საქალაქო სამკითხველოებში ლექციებს წაიკითხავენ. ხვალ თავად-აზნაურთა კრებაში აქტი გაიმართება. ვორონეჟისა და მეზობელ გუბერნიებიდან მრავალი მლოცავი მოვიდა.

კიევი. მიტროპოლიტი ფლაბიანე პეტერბურგს წავიდა უწმიდეს სინოდში დასასწრებლად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 18 ნოემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75	
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,32¹/₂	
ლონდონისაზე ჩეკები	94,75	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,62¹/₂	
ბირჟის დისკონტი	5-6¹/₂%	
4% სახელმწიფო რენტა	99⁵/₈	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4¹/₂% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95¹/₈	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	459	გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	347¹/₂	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	293	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4¹/₂% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4¹/₂% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	244	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევს 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.)-

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს.)9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ--სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევს 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

აფხანაურის სანერგე
ამერიკულ ვაზისა

მიხრან ალ. ანანოვისა იყიდება. ერთის წლის ფესვიანი ვაზები, ამერიკულ ვაზებზე დამყნილი, როგორც ადგილობრივ, ისე ფრანგულ ჯიშისა, იყიდება აგრეთვე ამერიკულ ვაზის რქა და გობრიდები.

აქავე შეიძლება მსურველმა შეუკვეთოს სხვადასხვა ჯიშის ვაზის დამყნობა მომავალ 1904/5 წლის სეზონისათვის.

ადრესი: სად. რიონი, ამიერ-კავ. რკ. გზისა. მიხრან ალ. ანანოვი (10—210—1)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ იღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

დ-რის შინდლერ-ბარნაის
„მარი ნბადის რედუქციური აბები“
წინააღმდეგ
სიმსუქნისა
და საუკეთესო საფაღარათო საშუალება.
ნამდვილი აბები იყიდება მხოლოდ
წითელ კოლოფებში
რომელშიაც აწყვია დარიგება, თუ როგორ იხმარება ეს წამალი, დაწერილი რუსულად, ფრანგულად და გერმანულად.

იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (ნ. 26—7)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო.	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პიტტოსი	—	20
სამზარეულო, ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაცემა პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

Дозв. ценз. Тифлисъ 24 ноября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Изда.ı Т—ва